ხელშეკრულება № 54-120216-01 7.908/ch

ქ.თბილისი 12 თებერვალი 2016წ.

Agreement № 54-120216-01 7.908/ch

Done in Tbilisi 12 February 2016 წ.

შპს „ჯორჯიან ეარვეისი“, შემდგომში წოდებული „ავიაკომპანია“, გენერალური დირექტორის ბ-ნ გივი დავითაშვილის სახით, ერთის მხრივ, და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია,” გენერალური დირექტორის ბ-ნი დავით თვალაბეიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „დამკვეთი“, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, დავდეთ ხელშეკრულება შემდეგზე:	**The Air Company "GEORGIAN AIRWAYS", Ltd., hereinafter referred to as "Carrier", in the person of Mr. Givi Davitashvili, General Director, on the one hand,** **and JSC "Georgian Oil and Gas Corporation," hereinafter referred to as "Customer", in the person of General Director Mr. David Tvalabeishvili on the other hand,** **in accordance with 3."f" paragraph of article 10[1] of the Law of Georgia on "State Procurement", agreed as follows:**
1. ხელშეკრულების საგანი 1.1. დამკვეთი უკვეთავს, ხოლო ავიაკომპანია გამოყოფს დამკვეთისათვის Gulfstream 450 ტიპის თვითმფრინავს ეკიპაჟთან ერთად (CPV60424100) თბილისი-თეირანი - თბილისის მიმართულებით დამკვეთის მგზავრთა გადასაყვანად შემდეგი პირობებით: - გაფრენა თბილისი-თეირანის მიმართულებით 2016 წლის 15 თებერვალს 08:00 საათზე ადგილობრივი დროით; - გამოფრენა თეირანი – თბილისის მიმართულებით 2016 წლის 16 თებერვალს. გამოფრენის დრო თეირანიდან მხარეთა შეთანხმებით. შესაძლებელია დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, ფრენა თეირანიდან თბილისის მიმართულებით განხორციელდეს 2016 წლის 17 თებერვალს, მხარეთა შორის შეთანხმებულ საათზე. 1.2. თვითმფრინავი იქნება სამგზავრო-სატვირთო კონფიგურაციით, არანაკლებ 7 მგზავრის გადაყვანის შესაძლებლობით. 1.3. რეისი შესრულდება ავიაკომპანიის კოდით და რეისის ნომრით.	**1.Subject** **1.1 On the basis of the Customer's prior written request and the present Agreement the Carrier shall organize and execute charter flight for transportation of the Customer's passengers on the route Tbilisi-Tehran-Tbilisi using Gulfstream 450 aircraft according to the following schedule:** **- Tbilisi-Tehran – 15 February 2016, departure from Tbilisi: 08:00 LT;** **-Tehran – Tbilisi – 16 February 2016, departure time from Tehran as agreed between the parties.** **At Customer's request flight Tehran – Tbilisi maybe performed 17 February departure time from Tehran as agreed between the parties.** **1.2 Configuration of the aircraft is passenger/cargo and may carry not less than 7 passengers.** **1.3 The flight numbers and code of the Carrier will be applied to the flights operations.**
2. საჰაერო ხომალდი, ეკიპაჟი, ტექნიკური მომსახურება, დაზღვევა 2.1. საჰაერო ხომალდი 2.1.1. ავიაკომპანია გამოყოფს აღნიშნული ტიპის საჰაერო ხომალდს, რომელიც პასუხობს აღნიშნული ტიპის თვითმფრინავისადმი ტექნიკურ და კომერციულ მოთხოვნებს, რომლებიც დაწესებულია საქართველოს საა სახელმძღვანელოებით და ინსტრუქციებით და იკაო-ს ნორმატიული დოკუმენტაციით. 2.1.2. საჰაერო ხომალდის უსაფრთხო	**2. Aircraft, crew, technical maintenance, insurance** **2.1 Aircraft** **2.1.1. The Carrier provides an aircraft, which complies with technical and commercial requirements to the aircraft of such type in accordance with manuals and instructions of Civil Aviation Administration of Georgia and ICAO normative documentation.** **2.1.2. Control and arrangements for flight safety and airworthiness shall be maintained by the Carrier in accordance with rules of the country the aircraft is registered.**

ექსპლუატაციის ორგანიზაცია და კონტროლი, მისი ვარგისიანობის შენარჩუნება წარმოებს ავიაკომპანიის მიერ საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის ქვეყნის წესების თანახმად. 2.1.3. ავიაკომპანია თავად იღებს ნებართვებს დადგენილი მარშრუტებით რეისების შესრულებაზე, ასევე ახორციელებს ურთიერთობებს კომპეტენტურ ორგანოებთან და ასრულებს ფრენებთან დაკავშირებულ ყველა ფორმალობას.	**2.1.3. The Carrier receives permissions on flight operation on the above-mentioned route, deals with the competent bodies and fulfills all formalities connected with the flights.**
2.2 ეკიპაჟი 2.2.1. რეისი შესრულდება ავიაკომპანიის ეკიპაჟით. 2.2.2. ეკიპაჟის თითოეული წევრი უნდა ფლობდეს მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოქმედ სერთიფიკატებს და სათანადოდ გაფორმებულ საზღვარგარეთის პასპორტებს; 2.2.3. ეკიპაჟის წევრთა სწავლების დონე უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციისა და იკაო-ს მოთხოვნებს. 2.2.4. ხომალდის მეთაურს აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება რეისის შესრულებაზე, გაუქმებაზე ან გადადებაზე, კომერციული დატვირთვის შეზღუდვაზე, ფრენის მარშრუტის შეცვლაზე ან მის გაუქმებაზე, დაუგეგმავ დაშვებაზე ან სარეზერვო აეროპორტში გაფრენაზე იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტილება გამოწვეულია მგზავრთა, ეკიპაჟისა და თვითმფრინავის უსაფრთხოებით. 2.3. ტექნიკური მომსახურება 2.3.1. ყველა სახის ტექნიკური მომსახურება ხორციელდება ავიაკომპანიის მიერ. 2.4. დაზღვევა 2.4.1. ავიაკომპანია თავისი ხარჯით უზრუნველყოფს სხ კორპუსის მესამე პირების, მგზავრთა წინაშე, ბარგის, ტვირთის დაზღვევას, რომელიც გამომდინარეობს საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციიდან (სადაზღვევო პოლისების ასლები იმყოფება საჰაერო ხომალდის ბორტზე).	**2.2 Crew** **2.2.1. The Carrier's crew will operate the aircraft.** **2.2.2. Each of the crewmembers shall have certificates in effect, approving their qualification, and properly issued foreign passports.** **2.2.3. Training level of the crewmembers shall meet the requirements of Civil Aviation Administration of Georgia and ICAO normative documentation.** **2.2.4. The pilot-in-command has the right of the final decision about flight operation, delay or cancellation of aircraft taking-off, restriction of the commercial loading, about termination or changing of flight itinerary, non-scheduled landing or flying to the reserve airport, if this decision is caused by the necessity of the passengers, crew and aircraft safety.** **2.3. Technical maintenance** **2.3.1. All types of the technical maintenance will be performed by the Carrier.** **2.4. Insurance** **2.4.1. The Carrier at its own expense provides the Aircraft Hull, the Aircraft third party, Passengers, baggage, cargo legal liability insurance, arising from the operation of the aircraft (copies of the insurance policies are on the board of aircraft) in the framework of the present Agreement.**
3. მხარეთა უფლება - მოვალეობანი 3.1. დამკვეთი უფლებამოსილია: 3.1.1. განახორციელოს სარეკლამო კამპანია სრული კომერციული დატვირთვის მიზნით მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მოცემულ მიმართულებაზე. 3.2. დამკვეთი ვალდებულია: 3.2.1. შეასრულოს საქართველოს საა-ს და იკაო-ს ყველა მოთხოვნა-რეკომენდაცია. 3.2.2. განახორციელოს დამოუკიდებელი	**3. Rights and obligations of the parties** **3.1 Customer has a right:** **3.1.1. Exercise advertising campaigns in order to achieve the full commercial loading only on the routes mentioned in the article 1.1. of the present agreement.** **3.2. Customer is obliged:** **3.2.1. Follow all instructions, rules and regulations of Civil Aviation Administration of Georgia and ICAO resolutions and recommendations.**

კომერციული პოლიტიკა და გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელიც გამომდინარეობს თავისი საქმიანობიდან. 3.2.3. გადაუხადოს ავიაკომპანიას რეისის საკონტრაქტო ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად. 3.2.4. არ დაუშვას სხ სალონში მსხვილი, გაბარტული ბარგის გადატანა. 3.2.5. აუნაზღაუროს ავიაკომპანიას დამკვეთის მიზეზით მისი ფრენების განრიგის დარღვევით გამოწვეული ყველა დამატებითი ხარჯები. 3.2.6. დამკვეთის ინიციატივით რეისის გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოს მგზავრთა გადაყვანა ავიაბილეთებში მითითებული დანიშნულების პუნქტამდე და პრეტენზიის წარმოქმნისას აუნაზღაუროს მგზავრებს ყველა ამ გაუქმებით გამოწვეული ხარჯი, თავად გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაციები თავის მგზავრებს.	**3.2.2. Conduct independently commercial policy and pay taxes under current legislation resulting from its operational activity.** **3.2.3. Make payment in accordance with the Article 4 of the present Agreement.** **3.2.4. Exclude the possibility of bulky baggage carriage in the passenger saloon of the aircraft.** **3.2.5. Reimburse the Carrier's expenses in case of flight cancellation or aircraft delay, any losses or damage caused by Customer's reasons.** **3.2.6. Provide transportation of its passengers to the destination station indicated in the air tickets and pay compensation to its passengers by itself in case of flight cancellation due to Customer's reason.**
3.3. ავიაკომპანია უფლებამოსილია: 3.3.1. მოითხოვოს ამ ხელშეკრულების შეცვლა ან გაუქმება ყოველგვარი სანქციის გარეშე თუ დამკვეთი არ ასრულებს თავის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. 3.3.2. უარი განაცხადოს რეისის შესრულებაზე ყოველგვარი სანქციის გარეშე დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშკრულების მე-4 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან თუ რეისის შესრულებამდე შესაბამისი საავიაციო უფლებამოსილი ორგანოების მიერ არ იქნა გაცემული შესაბამისი ნებართვები რეისის შესრულებაზე. 3.3.3. უარი განაცხადოს რეისის შესრულებაზე ან გააუქმოს ის ან გაკეთებული ჯავშნები შემდეგი მიზეზების გამო: - ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; - აფრენა-დაფრენის და გადაფრენის ქვეყნების ინსტრუქციების, სამთავრობო წესების, ბრძანებების და შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით; - მგზავრთა პირადი დოკუმენტაციის არასწორი გაფორმების შემთხვევაში; - მგზავრთა მიერ ავიაკომპანიის მიერ დადგენილი წესების და ინსტრუქციების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში.	**3.3. The Carrier has a right:** **3.3.1. Require revision or cancellation of the Agreement with reimbursement of all losses if Customer does not fulfill its obligations in accordance with this Agreement.** **3.3.2. Cancel flight operation without any sanctions in case the requirements of Article 4 of this Agreement are not met or permissions of relative authorities on flight operation are not received.** **3.3.3. Refuse carriage (originally or subsequently), to cancel this Agreement or seat booking or disembark passengers from the board of the aircraft in order to:** **-ensure flights safety;** **-prevent the breaches of corresponding laws, decrees, governmental rules and instructions of the countries of departure, over-flight and arrival;** **-in case of improperly issued passenger's personal documents;** **-in case of passenger's refusal to fulfill rules and instructions of the Carrier.**
3.4. დამკვეთის მიზეზით დანიშნულების აეროპორტებიდან შეთანხმებულ დროებზე გაფრენა/გამოფრენის დაგვიანების შემთხვევაში ავიაკომპანია უფლებამოსილია დაუყოვნებლივ აფრინდეს მგზავრებისა და ყოველგვარი სანქციის გარეშე. ასეთ	**3.3.4. The Carrier has a right to depart from the Airports of destination without the Customer's passengers on board in case the flight delay due to Customer's reason. In such case the Carrier shall not refund contract price to the Customer.** **3.4. The Carrier is obliged:** **3.4.1. Provide Customer with aircraft and the crew and its code for flight operation on agreed route.** **3.4.2. Provide flight operation support (receiving of approval of the countries of over-flight, departure and destination airports and reserve airports as well).**

შემთხვევაში ავიაკომპანია არ უბრუნებს დამკვეთს რეისის საკონტრაქტო ღირებულებას. 3.4. ავიაკომპანია ვალდებულია: 3.4.1. უზრუნველყოს დამკვეთი საჰაერო ხომალდით და ეკიპაჟით შეთანხმებულ ხაზზე; 3.4.2.უზრუნველყოს რეისის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ასევე გადაზიდვის განსახორციელებლად საჭირო ყველა აუცილებელი ფორმალობა, რომელიც დაკავშირებულია თვითმფრინავის გაფრენასთან და ეკიპაჟთან (ნებართვა გაფრენამდე და ა.შ.). 3.5 წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული რეისის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ავიაკომპანია ვალდებულია დამკვეთს სრულად დაუბრუნოს ამავე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის საფუძველზე ავიაკომპანიის საბანკო ანგარიშზე დამკვეთის მიერ ჩარიცხული თანხა.		**3.4.2. Ensure reimbursement of all expenses related to the flight, as well as provide formal support related to aircraft departure and crew (permission before the flight etc.).** **3.5 In case of cancellation of the flight envisaged by article 1.1 of the present agreement, the Carrier is obliged under article 4.1 of the agreement to fully reimburse the Customer with the sum placed on the Carrier's bank account.**
4. ანგარიშსწორების წესი 4.1. დამკვეთი წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ვალდებულია გადაუხადოს ავიაკომპანიას უნაღდო ანგარიშსწორების წესით წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე რეისის ღირებულება, რომელიც შეადგენს 21 900 (ოცდაერთი ათას ცხრაასი) ევროს. იმ შემთხვევაში, თუ თვითმფრინავი თეირანიდან გამოფრინდება 2016 წლის 16 თებერვალს. თუ თვითმფრინავი თეირანიდან გამოფრინდება 2016 წლის 17 თებერვალს, დამკვეთი რეისის შესრულების შემდგომ, დამატებით გადაუხდის ავიაკომპანიას 1800 (ათას რვაასი) ევროს წარდგენილი ინვოისის საფუძველზე, რეისის შესრულებისა და ინვოისის წარდგენიდან ორი სამუშაო დღის ვადაში. 4.2 გადახდა წარმოებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. თანხის გადარიცხვის შემთხვევაში გადახდა ჩაითვლება შესრულებულად თანხის ავიაკომპანიის ანგარიშზე მოხვედრისთანავე. საბანკო მოსაკრებლები და სხვა სახის გადასახადები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გადახდილი იქნება დამკვეთის მიერ. 4.3 რეისის ღირებულებაში არ შედის VIP მომსახურება დანიშნულების აეროპორტებში.		**4. Settlement of accounts** **4.1 After signing the agreement the Customer is obliged to pay the Carrier for transportation for the charter flight total sum EUR 21 900 (twenty one thousand nine hundred), in case the aircraft departs from Tehran 16 February 2016, which shall be paid through bank transfer.** **If the aircraft departs from Tehran 17 February 2016, the Customer pays additional EUR 1800 (one thousand eight hundred) in favor of the Carrier on the basis of the invoice, within two days after performing the flight and presenting the invoice.** **4.2 The payment shall be made in national currency of Georgia in accordance with the exchange rate of the Carrier's Service Bank for the date of payment. The payment shall be considered done when transferred sums will be placed on the Carrier's account.** **The bank taxes or charges if any will be paid at Customer's expense.** **4.3 Contract price does not include VIP service charges at the airports of destination.**

5. ფორს- მაჟორული გარემოებები 5.1. ფორს-მაჟორის პირობებში მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის ან შეუსრულებლობისათვის. ფორს-მაჟორის გარემოებებში იგულისხმება შემთხვევები, რომლის გათვალისწინებაც ან თავიდან აცილება არ ექვემდებარებოდა მხარეთა გონივრულ კონტროლს	**5.Force-Majeure** **5.1. The parties are relieved from obligations imposed upon them by the present Agreement which cannot be performed as a result of the events of force majeure or its consequences, which terms include fires, floods, earthquakes, strikes, war and war operations, restraints of governments and other cases which could not with reasonable diligence be controlled or prevented by a party.**
6. მხარეთა პასუხისმგებლობა 6.1. მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე ან მათ არასათანადო შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**6. Liabilities** **6.1. Parties shall carry material liabilities for non-performance or performance in bad faith of their obligations under this Agreement in accordance with the current legislation of Georgia.**
7. დავის გადაწყვეტის წესი 7.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი დავა წყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. 7.2. დავის მოლაპარაკების გზით გადაუწყვეტელობის შემთხვევაში სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება საერთო სასამართლოში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**7. Disputes** **7.1. Any dispute concerning interpretation or application of this Agreement shall be settled by direct negotiations between the parties concerned.** **7.2. In case that any possible dispute remains unsolved despite peaceful approaches, such disagreement or trial will be submitted to the court in accordance with current legislation of Georgia, which solution shall be final and obligatory for the parties.**
8. ხელშეკრულების მოქმედების ვადები 8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 20 მარტამდე და/ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე. 8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება იყოს შეწყვეტილი ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. თითოეულ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ერთი დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით.	**8. Validity** **8.1. This Agreement shall become effective after its signature by both parties and will be valid until 20 March 2016, and/or until all obligations of the parties under this Agreement are completely fulfilled.** **8.2. This Agreement can be terminated by mutual Agreement of the parties concerned. Either party may terminate this Agreement at any time, by giving one-day prior written notice, in favor of the Head Offices of the other Party.**
9. სხვა პირობები 9.1. ამ ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება უნდა შედგეს წერილობით და ხელმოწერილ იქნეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. 9.2. ავიაკომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების დამამტკიცებელ საბუთად ჩაითვლება საფრენოსნო დავალებაში დამკვეთის მიერ ფრენის დასრულების დაფიქსირება. 9.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ინგლისურ და ქართულ ენაზე და ინახება	**Miscellaneous** **9.1. Any amendments or modifications of this Agreement shall be valid if they are concluded in written and signed by the authorized representatives of both parties.** **9.2. The Customer's representative shall confirm the performing by the Carrier of its obligations under this Agreement with signature in the flight logbook (flight task).** **9.3. This Agreement is executed in duplicate in English and Georgian. Each Party holds one original copy. Georgian version has legal priority. The**

მხარეებთან. ამასთან ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას ენიჭება იურიდიული უპირატესობა. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერილ ელექტრონულ ვერსიას ასევე გააჩნია იურიდიული ძალა.	**scanned signed agreement has also legal validity.**
ავიაკომპანია შპს "ჯორჯიან ეარვეისი" 0158 ქ. თბილისი, აეროპორტი, 79(იურ.) ანგ **GE 65 TB11 0000 0035 4679 49** სს "თიბისი-ბანკის" მარჯანიშვილის ფილ. ბანკის კოდი **TBCBGE22** ს.კ: 208 205 360 ტელ. +995322 999180 ფაქსი:+995322 999660 გენერალური დირექტორი გ. დავითაშვილი	**Carrier** **"Georgian Airways" Ltd.** **79 Airport Colony, Tbilisi 0158, Georgia** **Bank: TBC, Marjanishvili branch** **Acc: GE 65 TB11 0000 0035 4679 49** **Bank Code: TBCBGE22** **Id.Code: 208 205 360** **Tel: +995 322 999 180 Fax:+995 322 999 660** **General Director** **G. Davitashvili**
დამკვეთი სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" 21 კახეთის გზატკეცილი, თბილისი, საქართველო, ს/კ: 206237491 ტელ: +99532 244040 ფაქსი: + 99532 244041 სს „თიბისი ბანკი" TBCBGE22 GE88TB7895736130100002 INTERMEDIARY BANK: CITIBANK N.A. NEW-YORK, USA SWIFT: CITIUS33 ABA: 021000089 Correspondent Account: 36127097 **გენერალური დირექტორი** დ. თვალაბეიშვილი	**Customer** **JSC "Georgian Oil and Gas Corporation"** 21 Kakheti Highway, Tbilisi 0190, Georgia ID: 206237491 Tel: +99532 244040 Fax: + 99532 244041 JSC TBC Bank TBCBGE22 GE88TB7895736130100002 INTERMEDIARY BANK: DEUTSCHE BANK AG FRANKFURT/MAIN, GERMANY SWIFT: DEUTDEFF BLZ: 50070010 Correspondent Account: 36127097 General Director D. Tvalabeishvili